ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი

სარჩევი

1. შესავალი 3
2. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი 4
2.1. ვიდეომონიტორინგის მიზანი,საფუძველი და მოცულობა 4
2.2. ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა და ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა . 4
2.3. ვიდეოჩანაწერის შენახვის წესი და მასზე წვდომა 5
2.4. ვიდეოჩანაწერის განადგურების წესი 5
3. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები 5
3.1. ვიდეომონიტორინგის შესახებ გაფრთხილება 5
3.2. მონაცემთა სუბიექტის უფლებები 5
4. ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისათვის გამჟღავნება 6
5. აუდიომოტორინგის განხორციელების წესი 6
5.1. აუდიომონიტორინგის მიზანი და საფუძველი 6
5.2. აუდიოჩანაწერის შენახვის წესი და მასზე წვდომა 6
5.3. აუდიოჩანაწერის განადგურების წესი 7
6. ინციდენტზე რეაგირების წესი 7

1. შესავალი

წინამდებარე ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი (შემდგომში მოხსენიებული როგორც „პროცედურა“) განსაზღვრავს შპს საქართველოს უნივერსიტეტის (ს/კ 205037137; მის: თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. N77ა) შემდგომში მოხსენიებული როგორც „უნივერსიტეტი“, მიერ შიდა და გარე სივრცეში ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესს, ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადასა და წესს, ვიდეოჩანაწერზე წვდომისა და განადგურების წესს, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციას. გარდა ამისა, წინამდებარე პროცედურით რეგულირებულია აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი, აუდიოჩანაწერის შენახვის ვადა და წესი, აუდიოჩანაწერზე წვდომისა და განადგურების წესი.

უნივერსიტეტი:

- პატივს სცემს და აღიარებს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს;
- კისრულობს პასუხისმგებლობას პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას განუხრელად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა;
- აცნობიერებს რა, პერსონალური მონაცემების ფასეულობასა და მნიშვნელობას, კისრულობს ვალდებულებას მკაცრად დაიცვას მათი საიდუმლოება.

ტერმინთა განმარტება:

გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა:

შპს საქართველოს უნივერსიტეტი - *მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმეგებელი პირი,* კომპანია, რომელიც ინდივიდუალურად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს და უშუალოდ ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.
მონაცემთა სუბიექტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებაც მუშავდება მონაცემი.
პერსონალური მონაცემი ან მონაცემი - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად დასაქმებულის (ფიზიკურ პირს) უკავშირდება. დასაქმებული იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია დასაქმებულის იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით,

ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.

მონაცემთა დამუშავება - პერსონალურ მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე, პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

ვიდეომონიტორინგი – უნივერსიტეტის მიერ შიდა სივრცეში ან გარე პერიმეტრზე განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა.

აუდიომონიტორინგი - უნივერსიტეტის მიერ განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხმოვანი სიგნალის მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, აუდიოკონტროლი ან/და აუდიოჩაწერა.

2. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

2.1. ვიდეომონიტორინგის მიზანი,საფუძველი და მოცულობა

ვიდეომონიტორინგს ექვემდებარება შენობის გარე პერიმეტრი და შიდა პერიმეტრი. ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანია კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, დასაქმებულ პირთა უსაფრთხოების, უნივერსიტეტის საკუთრების დაცვის საჭიროება, ასევე არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნებისთვის; გარკვეულ შემთხვევებში **ვიდეომონიტორინგი მიმდინარეობს გამოცდების მიმდინარეობის დროს განსაზღვრული წესის შესაბამისად.**

ვიდეომონიტორინგი, აგრეთვე, ემსახურება შიდა სამუშაო სივრცის ეფექტური ლოჯისტიკასა ან ტექნიკურ ოპერაციებს, რაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას აძლევს იმ ტიპის მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ყოველდღიური მუშაობის ოპტიმიზაციისთვის. უნივერსიტეტის შეფასებით, ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ვიდეომონიტორინგის გარდა სხვა საშუალებით და ვიდეომონიტორინგი წარმოადგენს მიზნის მისაღწევად ეფექტურ და პროპორციულ საშუალებას.

უნივერსიტეტი ახორციელებს ვიდეომონიტორინგს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული და წინამდებარე პროცედურის შესაბამისად.

2.2. ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა და ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა

ვიდეომონიტორინგი ხორციელდება 24 სააათის განმავლობაში, კვირაში 7 დღის მანძილზე.

უნივერსიტეტი ახორციელებს ვიდეოჩანაწერის შენახვას 2 (ორი) კვირის ვადით, რის შემდეგაც ვიდეოჩანაწერი ნადგურდება.

2.3. ვიდეოჩანაწერის შენახვის წესი და მასზე წვდომა

ვიდეომონიტორინგის სისტემაზე (NVR მოწყობილობა, მონიტორები და სხვა) და ვიდეოჩანაწერებზე წვდომისა და სათანადო ქმედებების განმახორციელებელი პირები/უფლებამოსილი პირები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. დაუშვებელია სისტემაზე წვდომა მიენიჭოს ისეთ პირს, რომელიც არ არის განსაზღვრული აღნიშნული აქტით.

ვიდეოჩანაწერები უნივერსიტეტის მიერ ინახება დაცულ სერვერზე, სადაც წვდომა ხორციელდება მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ ანგარიშზე მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანის საშუალებით. უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია რეალურ რეჟიმში ვიდეომონიტორინგის, მონიტორზე არსებული ვიდეოგამოსახულების მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის ხელმისაწვდომობა. ვიდეოჩანაწერზე წვდომა ვერ განხორციელდება გარე მოწყობილობებიდან და წვდომის მქონე სუბიექტი წვდომის მოსაპოვებლად ვალდებულია შევიდეს მხოლოდ უნივერსიტეტის შიდა სისტემიდან.

ვირუსებისგან დაცვის მიზნით უნივერსიტეტი იყენებს ანტივირუსულ სისტემას და დაცვის სხვა ტექნოლოგიურ საშუალებებს ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით.

ჩამწერი სისტემის ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს IT სამსახურს, რათა მოხდეს ხარვეზზე დროული რეაგირება.

2.4. ვიდეოჩანაწერის განადგურების წესი

ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადის ამოწურვისთანავე ვიდეოჩანაწერი იშლება ავტომატურად. აღნიშნული ჩანაწერის აღდგენა ან სხვაგვარად მასზე წვდომის მოპოვება მისი წაშლის შემდეგ ტექნიკურად შეუძლებელია.

3. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

3.1. ვიდეომონიტორინგის შესახებ გაფრთხილება

უნივერსიტეტს განთავსებული აქვს ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის გამაფრთხილებელი ნიშანი იმ სივრცეში, სადაც მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი. აუცილებელია ვიდეომონიტორინგის გამაფრთხილებელი ნიშანი განთავსდეს ყველა იმ სივრცეში, საიდანაც ხორციელდება ვიდეომონიტორინგი და დამონტაჟებულია შესაბამისი ვიდეოკამერა.

3.2. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- მოითხოვოს ვიდეოჩანაწერის ასლი;
- მოითხოვოს ინფორმაცია მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
- მოითხოვოს ინფორმაცია, მოხდა თუ არა მისი მონაცემების გადაცემა, მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ

მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;

- მოითხოვოს ინფორმაცია მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;
- მოითხოვოს მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება.
- სათანადო საფუძვლის არსებობისას მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება.
- სათანადო საფუძვლის არსებობისას მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვა.
- უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან სასამართლოს.

4. ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისათვის გამჟღავნება

უნივერსტეტის მიერ შენახულ ვიდეოჩანაწერებზე წვდომა, მათი დათვალიერება და რიგ შემთხვევებში, მესამე პირებისთვის გადაცემა შეიძლება გახდეს აუცილებელი, თუ არსებობს ეჭვი, რომ ვიდეოჩანაწერზე ასახულია დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის ფაქტი ან/და საჭიროა უნივერსიტეტში დაწყებული დისციპლინური საქმის წარმოების/სასამართლოში საქმის წარმოების ფარგლებში, მისი დათვალიერების ინტერესი უჩნდება საქმის მწარმოებელ ორგანოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების მიზნებისთვის მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისგან შესაბამისი სასამართლოს განჩინების ან/და პროკურორის დადგენილების საფუძველზე.

5. აუდიომოტორინგის განხორციელების წესი

5.1. აუდიომონიტორინგის მიზანი და საფუძველი

აუდიომონიტორინგს ექვემდებარება უნივერსიტეტის ცხელ ხაზზე შემოსული და გამავალი სატელეფონო ზარები.

აუდიომონიტორინგი ხორციელდება შემდეგი საფუძვლით:

- მონაცემთა სუბიექტის თანხმობით.

აუდიოჩანაწერის განხორციელებამდე უნივერსიტეტი ახორციელებს სათანადო ფორმით მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას იმის თაობაზე, რომ მისი საუბარი იწერება, შესაბამისად, იგი უფლებამოსილია განაცხადოს თანხმობა აუდიომონიტორინგზე.

5.2. აუდიოჩანაწერის შენახვის წესი და მასზე წვდომა

აუდიომონიტორინგის სისტემაზე და აუდიოჩანაწერებზე წვდომისა და სათანადო ქმედებების განმახორციელებელი პირები/უფლებამოსილი პირები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. დაუშვებელია სისტემაზე წვდომა მიენიჭოს ისეთ პირს, რომელიც არ არის განსაზღვრული აღნიშნული აქტით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აუდიომონიტორინგის სისტემის დაცვას, იმგვარად, რომ აუდიოჩანაწერები დაცულია სერვერზე. მასზე წვდომა

ხორციელდება მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ ანგარიშზე მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანის საშუალებით. აუდიოჩანაწერზე წვდომა ვერ განხორციელდება გარე მოწყობილობებიდან და წვდომის მქონე სუბიექტი წვდომის მოსაპოვებლად ვალდებულია შევიდეს მხოლოდ უნივერსიტეტის შიდა სისტემიდან.
ვირუსებისგან დაცვის მიზნით უნივერსიტეტი იყენებს ანტივირუსულ სისტემას და დაცვის სხვა ტექნოლოგიურ საშუალებებს ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის თავიდან აცილების მიზნით.
ჩამწერი სისტემის ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს IT სამსახურს, რომ მოხდეს ხარვეზზე დროული რეაგირება.

5.3. აუდიოჩანაწერის განადგურების წესი

უნივერსიტეტი ახორციელებს აუდიოჩანაწერის შენახვას 2 (ორი) კვირის ვადით. აუდიოჩანაწერის შენახვის ვადის ამოწურვისთანავე, აუდიოჩანაწერი იშლება ავტომატურად. აღნიშნული ჩანაწერის აღდგენა ან სხვაგვარად მასზე წვდომის მოპოვება მისი წაშლის შემდეგ ტექნიკურად შეუძლებელია.

6. ინციდენტზე რეაგირების წესი

უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყონებლივ - ინციდენტის აღმოჩენისთანავე - აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.